საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი 27 მარტი 1919 წ. პროლეტარეგო ყველა ქვეყანა ერთ, შეერთდით!

ქართველი

ფასი 75 აბ.

№ 63 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა № 63

გულდათანაგრძნობა მშობლებსა: თამარა დავითის ასული და გრიგოლ ალექსანდრეს ძე მალაზონიანები, დედა თებრონე და ბიძა ივანე ლიმიტრის ძე ნაკაიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და უსაყვარლესი ქალის

რუსუდანის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე 27 მარტს შუადღის 12 სთ. გამოსვენება დილის 10 სთ. მეორეული № 46.

ღრმად დაფიქრებულ მშობლები: მამა ფილიპე, დედა პელაგია, დები: ლიდა, ლილია, ევგენია და ანტონინა, ძმა იესე სურიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის

ალექსანდრე ჭანიშვილის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება შაბათს, 29 მარტს, ან. სტ. ს. სუფსაში (ბურა).

ხიბის რაიონული კოლეგიური წუხარებით აუწყებს ანანაგებს

გოსტო (იგივე პოფილა) მანუჩარის ძე ნორაკიძის

ტრადიციულად გარდაცვალებას ქ. სოხუმში, დაკრძალვა მოხდება ხორშში, 28 მარტს.

დამწუხებულნი ივანე ილია (რეპა), ნინა შოთა და ელენე რაზმაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 25 მარტს ტფილისში გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი მამა, ხოლო უკანასკნელისა ძე. გამოდელი

ილარიონ თაუს ძე თაუაიშვილი

გასვენების დღე ცალკე ეცნობება გამოცხადებული.

საგჯო გაფიცულთა წინააღმდეგ

გუშინდელი სხდომა ქალაქის თვითმართველობის საბჭოსი მეტად მნიშვნელობას დიდ შეგანაზღულ მოვლენებთან ერთად. ამ ფაქტსაც ასეთივე გაწუხება მიაცეს და იგი დემოკრატიული საბჭოს საბელის გასატანად გამოიყენოს. ამიტომ საჭიროა ერთხელ კიდევ შეეხეთ ამ საგანზე.

ჩვენ ლრმათ გვწამს უფლება სოციალისტებისა და მუშებისა—გაფიცონ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენ გაფიცვა წმინდა იარაღათ მიგვაჩნია ბრძოლისა.

მაგრამ სწორეთ ამიტომ ვიც ამ იარაღით შეიძლება ასე თამაში, როგორც ეს ქალაქის მოსამსახურეებმა მოიფიქრეს.

მაროლაც, მათ ფიტეტენ ჯამაგირს სისტემატიურათ ისე, რომ მოთხოვნის წამოყენების მეტი არაფერი დახარჯვათ. აკმაყოფილებდნენ ყოველ მათ მოთხოვნილებას, სხვა მხრივ კი შრომის პირობების გასაუჯობესებლად

ეს მხოლოდ ერთი დიდი ნაკლი—ეს გახდათ უფუნქობა, რის გამო ჯამაგირის ბიკმა გვიანდებოდა

ეს დაგვიანება დასავლეთ ხელზე მოსახსახურეებმა. მაგრამ ეს მიზეზი არ გახდა გაფიცვის საბაბათ. ეს ბიკი ეს გაფიცვა ყო არა მუშების, არა მუშათა და მოსახსახურეთა კავშირის, მთელი თავის შემადგენლობით, არამედ მისი ერთი ნაწილის მოსამსახურე მოხელეების.

ეს გაფიცვა ყო არა თვითმართველობის ჯიუტობის გასატეხათ მიღებული, რადგან თვითმართველობა არავითარ არსებით მოთხოვნილების წინააღმდეგობას ჯიუტობას არ უუნდა, არამედ თვითმართველობის არსებობის წინააღმდეგ.

და განა შეიძლება თვითმართველობა გაიაზროს, მოსპო ნახოლოდ იმიტომ, რომ ეს სურთ გაბალშვიკებულ ხელმძღვანელებს ნიკოლაზის დროინდელი მოხელეებისა?

ან ეს გახდა მიზეზი ამ გაფიცვისგან მუშების გაშორებისა, მათი გამოჯანისა, ასე უგუნურათ, ასე ბალის სამტრეთ გაფიცვის გამოყენებისა. ეს გაფიცვა

ბოლოთ ბოლოს ეს ბოლოა. ... ...

ᲓᲦᲔᲡ

აღმოსავლეთ პროვინციის გერმანელი მცხოვრებნი პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ ეს პროვინციები პოლონეთს შეუერთდეს.

ბალშევიკები წინ მოიწევენ ეკატერინოსლავის გუბერნიაში და დონის ოლქში ველიკოკნიაეუსკაიას მიმართულებით.

უნგრეთის საბჭოთა განკარგულებით დაპატიჰრეს ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი.

ჩეხოსლოვაკების მთავრობა გადადგა.

ბალშევიკების ცნობით გერმანიის მთავრობაში დაპარაკია მოსკოვთან კავშირის დაჭერის შესახებ.

რამ ვიდრე არჩევნების შედეგზე რამეს ვიტყოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი: ჩვენი კავშირის გამგეობის შემადგენლობა, დღიდან მისი არსებობისა, რაოდენჯერმე შეცვლილა და ამ არჩევნების დროს ყოველთვის დიდი შეჯახებიმოჯახება მომხდარა.

ჩვენი კავშირის ბედ-იღბალი და საქმე დღიდან მისი დაარსებისა, ხელთ ეჭირა ისეთ ამხანაგებს, რომელნიც სრულიად გამოხატავდნენ მუშების ნება სურვილს და მათი ინტერესების დაცავად თავგამოდებით იბრძოდნენ, ამ დროს ყველა ეროვნების მუშები ერთად მუშაობდნენ გამგეობაში და, უნდა ითქვას, რომ კავშირის საქმეც კარგათ მიდიოდა.

მართალია, გამგეობაში იყვნენ ისეთი პირებიც, რომელნიც ამ ორგანიზაციას პოლიტიკურ მიზნებისთვის იყენებდნენ და სცდილობდნენ კიდეც, რომ კავშირში გაბატონებულ-ყვნენ; ასე იქცეოდნენ ბალშევიკები, რომელთაც ერთხელ, წარსულ წლის მარტში, კიდეც მიაღწიეს მიზანს და გამგეობაში სრულიად ისინი გამეფდნენ. ჩვენს ამხანაგებს ალბათ ახსოვთ მათი იქ მოღვაწეობა: კავშირში სწყვეტდნენ წმინდა პოლიტიკურ ხასიათის კითხვებს, ხოლო მუშების ინტერესები და მოთხოვნილებები უყურადღებოთ იყო მიტოვებული. სწორედ ამან გამოიწვია მუშების დაქსაქსვა მაშინ, სწორედ ამან დაასუსტა კავშირი.

მაგრამ ფუიზელმა და მოწინავე მუშებმა, განურჩევლად ეროვნებისა, დროზე მიაქციეს ამას ყურადღება და გამგეობის ასეთი შემადგენლობა შესცვალეს.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნო ის თავგამოდებითი ბრძოლა, რომელსაც ეწეოდნენ ამხ. ივანოვი, ილატოვსკი და სხვანი ბალშევიკების წინააღმდეგ.

მას შემდეგ ბევრი ცვლილებები მოხდა: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ერთი ნაწილი სოც.-დემ. ორგანიზაციას ჩამოშორდა და ცალკე გაზეთი „სოციალ დემოკრატი“ დაიარსა, ზოგ დაწესებულებაში ნაციონალიზაცია მოხდა და ასხვა...

და, აი, თურმე ამ ვაკანტონების გულსა და გონებაშიც დიდი აფორიაქება და გადატრიალება მომხდარა. დღეს ეს „მენშევიკები“ თავის ძველ მენშევიკ ამხანაგებს ეკვეთენ და ბრძოლა გამოუცხადეს, ხოლო იმათ, რომლებსაც ასე თავგამოდებთ ებრძოდნენ ძველათ, დაუმეგობრდნენ, დაუახლოვდნენ..

9 მარტის საზოგადო კრებამ ეს ნათლად დაამტკიცა. მაშინ, როცა ჩვენი ამხანაგები სულით და გულით ირჩევდნენ და ხმას აძლევდნენ ივანოვ-ილატოვსკებს, თუ ესენი ჩვენი ამხანაგების წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ, ხოლო ძველს მოწინააღმდეგეებს უკავშირდებოდნენ.

9 მარტს არჩევნები მოხდა, ჩვენმა ხმებმა ივანოვ-ილატოვსკ-კილაძეები გაათეთრა, ხოლო მათ ჩვენი ამხანაგები გააშავეს.

და ეს გამგეობა, აშკარაა, ვერ ისარგებლებდა ყველას ნდობით, კავშირის ამ მდგომარეობაში დარჩენა, ეს იქნებოდა უკან დახევა, როდესაც ამგვარმავე შემადგენლობამ კავშირი დაასუსტა, მუშები გათიშა.

რა თქმა უნდა, ჩვენი მუშები ამგვარ მდგომარეობას ვერ შეურიგდებოდნენ და აი, 16 მარტის საზოგადო კრებამ მოინდომა გამგეობის ხელ ახალი არჩევნები.

არჩევნები მოხდა და გამგეობაში გავიდნენ ისინი, რომელნიც სავსებით გამოხატავენ წევრების ნება სურვილს.

ამ არჩევნების შესახებ წერილები დაიბეჭდა „ტრუდოვოე ზნამია-ში“ ამხ. ბერგმანის, და რუსულ „სოციალ-დემოკრატში“ ამხ. ივანოვისა.

პირველის წერილი ანგარიშია საზოგადო კრებისა, სადაც მოყვანილია თავიანთი სიტყვები და წოსაბრძანები, ხოლო ჩვენი სრულიად გამოტოვებული და დამახინჯებულია; მეორის წერილი უმთავრესათ ეხება იმას, რომ „ძალა ერთობაშია“ და თვითონ კი ქსაქსავს და თიშავს ამ ძალებს.

აი საბუთიც: ზოგიერთა ვაკანტონები ქადალდით ხელში დადიან ქარხნებში და ხელს აწერინებენ პროტესტზე.

მერე ვინ არიან ესენი?

ჩვენ ყოველთვის შეთანხმების, თანამშრომლობის ნიადაგზე ვიდექით და ვდგავართ კიდეც, ეს მით უმეტეს პროფესიონალურ კავშირში; ჩვენი დემოკრატია თეთრს შავისაგან კარგათ არჩევს და სრული იმედიცა გვაქვს, რომ მოწინააღმდეგეთაგან გადმოსროლილ ანკესზე აგრე ადვილათ არავინ წამოეგება.

მიხ. თამაზაშვილი.

ᲓᲔᲙᲝᲣᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა საგენტო)

26 მარტი.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ბერლინში ყოველ დღე მოდის მრავალი დეპეშა გერმანიის იმ ოლქებიდან, რომლის შეერთება სურს პოლონეთს. დეპეშებიდან სჩანს, რომ აღმოფოთებამ ამ ოლქებში უმაღლეს წერტილს მიაღწია

ᲒᲐᲚᲣᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕ. ᲔᲕᲠᲝᲞᲐ

(საერთაშორისო პრობლემები).

რუსეთის ეკონომიური ვითარება ქმნიდა ისეთ პირობებს, რომლებიც საკმაო მასალას იძლეოდნენ მაქსიმალისტური მიმართულებათა ჩასასახავად მშრომელი დემოკრატიის ფართე წრეებში. აქ ჩვენ ვხედავთ ერთი მეორეს დიამეტრულათ მოწინააღმდეგე მოვლენებს: ერთი მხრით უკიდურესი სიღატაკე, შიმშილი, და მეორე მხრით გადაჭარბებული ფუფუნება, ნაშთი ბატონ-ყმური წესებისა სოფლის მეურნეობაში და კაპიტალისტური მიწად მფლობელობა და ევროპიული ხასიათის სინდიკატები და ტრუსტები. რუსეთის სინამდვილე არ იცნობს კაპიტალისტური ხასიათის წვრილი მიწად-მფლობელობას და წვრილ მესაკუთრეთა კლასს, ეკონომიურად მოდიფიცირებულს. ეს ამ რევოლიუციის საქმეა და ის კიდეც ხდება მიუხედავათ მოქალაქეობრივი ომებისა.

რევოლიუციამდე ვინც ყოფილა რუსეთის ცენტრებში, ის შეამჩნევდა რუსეთის მუშის ტიპს: ავათმყოფი სახის გამ-მეტყველებით, უფდამ დაღვრემილს, მოკაკულს; ის სრულიად არ წაგავდა პროფ. ვატონერ ზომბარტის მიერ ნაქებ ამერიკელ მუშის ტიპს, რომელსაც თავისი გარეგნობით და მოქცევით უფრო ხშირათ ვერც კი გაარჩევ პრეზიდენტისაგან ან პალატის დეპუტატისაგან*).

მასში ჩაქსოვილი იყო არაკლასობრივი შეეცნებით აღტაცებული სული, არამედ წვრილ ბურჟუაზიული მეშჩანური. მისი იდეალი იყო მომეტებულათ რომელიმე სავა მორიოზოვის ან კრასტოვნიკოვის ქარხნის არა განსახელმწიფოებრივობა, არამედ დატაცება, მისაკუთრება, რისიც შეიძლებელია, დაეარჩენის დარბევა. წვრილი ბურჟუა, როგორც მონა მაქსიმალისტია, ის ითხოვს და ეზიდება იმას, რაც მის ძალ-ღონეს აღემატება.

პოლიტიკური ფილოსოფია რუსეთის მუშების უმრავლესობისა მეტად მარტივი დაგასაგებია: ყველაფერი, ან არაფერი (Все, или ничего) და ამას ხშირათ გაიგონებდით ჯერ რეაქციის და შემდეგ რევოლიუციის დროს ბევრი მუშისაგან და უკანასკნელი ლენინზე ბალშევიკური ფილოსოფიის ქვაკუთხედათ გახადა და მონათლა ის თანდათანობითი რევოლიუციონური მარქსიზმით (послѣдовательный революціонный марксизмъ).

ეს კი გულს უცრუებდა მუშებს სისტემატიურ მუშაობაზე, ორგანიზაციაში, კავშირებში და ყველა ლეგალურ საშუალებათა გამოყენებაზე, რაც მიზნად ეყო ოპორტიუნიზმათ, მომაკვდინებელ ცოდვათ და ამრიგათ დინჯათ მოაზროვნე მუშის ნაცვლათ რუსეთის სინამდვილე იძლეოდა გაფანატიკოსებულ მაქსიმალისტს, უდისციპლინოს, ორგანიზაციულად გაუწრთვნელს და საღი გონების ნაცვლათ ამბოხებულ ვნებათა გავლენის ქვეშ მომქმედს. ეს იყო ლენინის სტიქია და მან კიდეც მიანიჭა მას გამარჯვება ისე, როგორც წინააღმდეგ გარემოებამ ჩვენში გამარჯვება მიანიჭა ჩვენს დემოკრატიულს მთავრობას გლეხურ სტიქიაზე.

როდესაც ბალშევიზმს უპირდაპირებდნენ რუსეთის დემოკრატიას—ეს გაუგებრობის შედეგი იყო. დემოკრატიის შემადგენელი ნაწილები მუშათა კლასი და გლეხობა თავის უმრავლესობაში ბალშევიზმის მარტივ ფილოსოფიას ვედარ გაცლოდნენ და უკანასკნელი მათ აკმაყოფილებდა. სულ სხვა საკითხია რამდენათ ეს მიზანშეწონილი იყო. ამაზე აქ არ ვილაპარაკებთ.

რუსეთის დემოკრატიული ფრონტის შექმნა ასეთ პირობებში, ე. ი. ბალშევიკების გარეშე, ისეთივე შეუსაბამობა იყო, როგორც რგვალ წრის კვადრატურა.

ამ რევოლიუციის დროს რუსეთის დემოკრატია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მისი მარჯვენა ფრთა სიმწიფის გამოცდაზე ჩაიჭრა. ეს იყო დემოკრატიულ თანთბირზე, სადაც ბალშევიკურ მაქსიმალისტურ ლოზუნგებს მათ ვერ შესძლეს დაეპირდაპირებინათ სხვა რამ, გარდა კოალიციისა ცენზიან ელემენტებთან. და სწორეთ ამ დღეს გაიმარჯვა ბალშევიზმმა რუსეთის დემოკრატიაზე და 22 ოქტომბერს მან მოიოლოდ ეს დადასტურა.

მიზეზი ამის უნდა ვეძიოთ რუსეთის სინამდვილეში, რომელიც მხოლოდ ბალშევიზმისათვის იძლეოდა ნიადაგს და არა დემოკრატიის ბატონობისათვის, რაც გულისხმობს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანიზაციულ გამოცდას, შრომის დისციპლინას, განვითარებას და სხ. და სხ. არცერთს ამ პირობათაგანს ჩვენ არ ვხედავდით. მუშათა ორგანიზაციებზე და სოციალისტური პარტიების არსებობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ისინი ფაქტიურად რამდენიმეთ მაინც მასიური სახით არ არსებობდნენ რევოლიუციის დაწყებამდე.

რაც შეეხება ერობებს და ქალაქის თვითმართველობებს, მიუხედავათ მათი ათეული წლების არსებობისა, ჩვენ ვხედავდით მხოლოდ ერთს მოვლენას, რომელიც შეუძლებელია ევროპის განათლებულ ქვეყნებში. თვითმართველობანი რუსეთში უკან-უკან მიდიოდნენ წინსვლისა და განვითარების ნაცვლათ. და ხალხის ფართე მასისათვის ეს თვითმართველობანი დარჩა მისთვის უცხო, მის გარეშე მდგომ ძალათ. მას, შესაძლებელია უფრო ახლო მიეღო თავის სოფლის მომხმარებელი დუქნის ინტერესები, ვინემ ერობის, ან ქალაქის თვითმართველობის და სწორეთ ეს იყო

---

*) იხ. მისი საინტერესო წერილები „Очерки изъ жизни севѣро-американскаго пролетаріата“.

ყველა დეპეშებში ერთი და იგივე აზრია გამოთქმული: „სიკვდილი სჯობს პოლონელების ხელში გადასვლას. ჩვენ მზათა ვართ იარაღით გავუწოთ წინააღმდეგობა აღმოსავლეთ პრუსიის პოლონეთთან შეერთებას. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენს სამშობლოს. ჩვენ მოვითხოვთ გერმანიაში დარჩენას და თუ ძალით შეგვიერთეს პოლონეთს, დავიწყებთ სამოქალაქო ომს“.

ქალაქ დანცინგის მცხოვრებნი სასტიკ პროტესტს აცხადებენ გერმანიის ძველი ქალაქის პოლონეთთან შეერთებაზე: „ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე ჩვენ მოვითხოვთ, რომ დანცინგი გერმანიას დარჩეს. აღმოსავლეთ პრუსიის გერმანელ ქალებმა დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს პოლონელების წინააღმდეგ. ქალებმა საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნეს დეპეშა, სადაც აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ პრუსიის პოლონეთთან შეერთება ეწინააღმდეგება ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. ქალები ზათ არიან ყოყეულგვარი მსხვერპლი გაიღონ, ოღონდ სამშობლო გერმანიის ხელში დარჩეს. ისეთი ზავი, რომელიც გერმანულ სამშობლოს პოლონეთს გადასცემს, არ შეიკვრება.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში საახალწლო საქმეთა სტატს-სეკრეტარი დ რი დერნბურგი წერილში, „რას არ მოვაწერ ხელს“, ამბობს: მოკავშირეთა სახელმწიფო ნ დღის განმავლობაში დილიდან საღამომდე სულ იმას სცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტათ დაამციროს და რაც შეიძლება მეტი თავსლაფი დაასხას დამორჩილებულ გერმანიას, რომელიც ხმამოუდებლივ ელოდებს ყოველგვარ მსხვერპლს. გერმანიის ხალხი მეჩვიეთ სდგას ვილსონის პროგრამის პლატფორმაზე და არ მოაწერს ხელს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც არ შეეფერება ამ პროგრამას. განსაკუთრებით ხელს არ მოვაწერთ ისეთ ზავს, რომელიც არ გულისხმობს ხალხთა კავშირის შექმნას, ისეთი კავშირისას, რომელშიაც ვილსონის მესამე და მე-4 პუნქტების თანახმათ გერმანია უნდა შეიდიოდეს, როგორც თანასწორ უფლებიანი წევრი. ამ კავშირმა უნდა მოაწესრიგოს საერთაშორისო ურთიერთობანი და გააფუქმოს საიდუმლო დიპლომატია. მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობის უზრუნველყოფა უნდა დაეკისროს ხალხთა კავშირს, რომელში შესვლაც გულწრფელათ სურს გერმანიას.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ. იუზოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიპყრა (?) იუზოვის რაიონში ხელთ ვიგდეთ ჯავშნიანი მატარებელი, 25 ტყვიისმფრქვეველი და 1 ზარბაზანი. ბახმუტის რაიონში ჩვენ დავიპყრეთ სადგური კრივტონელი. ველიკოანიაეის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება. მენშელინის მიმართულებით ჩვენმა მოწინავე ჯარმა მოწინააღმდეგე შეავიწროვა. ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. მარტ. 24. უნგრეთის საბჭოთა განკარგულებით დაპატიმრეს ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

მილიციის სამსახურიდან სხვადასხვა ბოიკოტმოქმედებებისთვის დათხოვნილ იქნენ მეთერთმეტე კომისარიატის მილიციონერები: გიორგი შინდიკაშვილი, იოსებ მირიმანოვი, არშაკ არუტინოვი, ვასილ ცხოვრებაშვილი, მარკოზ კერესელიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, გერასიმე ვაშაკიძე, გიორგი რუსაშვილი და ზაქარია კელესაშვილი. ყველა ზემო აღნიშნული პირები პასუხისგებაში არიან მიცემული.

ᲚᲢᲝᲚᲒᲘᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲑᲛᲐᲠᲔ კომიტეტის თავმჯდომარე ჩიკვაიძემ ინახულა მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი პ. გელეიშვილი და სთხოვა ქართველ ლტოლვილ ალაგირელებისთვის 213 კომლის დასახლებლათ გადაიღოს მიწა. ამის გამო მიწათ-მოქმედების სამინისტროში ზესდგა თათბირი, რომელზედაც დასახელებულ ლტოლვილთათვის სიღნაღის მაზრაში, კობლოს რაიონში გადაიღო 700 დესიატ. მიწა. მათი გადმოყვანა მიენდო გადასაყვან განყოფილების გამგე მარუაშვილს და ჩიკვაიძეს.

ᲮᲣᲠᲗᲐᲗᲐ ᲮᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. სომხეთის დეპეშათა საგენტოს ცნობით, ამ დღეებში გუმბრში მიუღიათ 24 ვაგონი ბრინჯი, სამი ვაგონი სამეურნეო იარაღები და რამოდენიმე ვაგონი ფქვილი, რის გამო სასურსათო მდგომარეობა უჯობესდება.

ᲠᲙᲝᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ სასურსათო საბჭოს გაწყვეტილი აქვს მოკლე ხანში მოახდინოს შტატების შემცირება.

რკინის გზის სასურსათო საბჭომ დაადგინა სამსახურიდან დათხოვნილი სომეხი მოსამსახურენი ისევ მიიღონ სამსახურში, თუ გამოჩნდება თავისუფალი ადგილი, თუ არა და მისცენ მათ სალიკვიდაციო.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ კავკასიის საოლქო ცენტრის აღმასრულებელ კომიტეტმა თფილისის საბჭოსთან ერთად შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებს: „პროფესიონალური კავშირების ამიერ-კავკასიის საოლქო ცენტრის აღმასრულებელი კომიტეტი თფილისის საბჭოსთან ერთად, იწვევს თფილისში ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობას 10 აპრილს.

მიზეზი, რომ ის ყრუ დარჩა ერობათა და ქალაქის მოწოდებაზე შეკავშირებულიყო მის გარშემო მის დასაცავთ, ბალშევიკებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და უცერემონიოთ გარეკეს ერობათა და ქალაქის თვითმართველობანი—ეს ს ძარკვეული დემოკრატიული შენობისა.

გარეშე ფრონტზე ბალშევიზმმა ადიარა გაბედულად ის, რისი თქმაც ვერ გაბედა კერენსკის მთავრობამ. მან საჯაროთ აღიარა, რომ ომში რუსეთი დამარცხებულია და ასე თუ ისე მან ომი უნდა გათავოს. მიწად მომქმედი რუსეთი,70 პროც. წერა-კითხვის არა მცოდნე, უფლებო რუსეთი, ტეხნიკურათ უძლური, უსაშინელესი ბიუროკრატიული მანქანის პატრონი დამარცხდა ბუმბერაზ სახელმწიფოთა შეჯახების დროს, სადაც ბედს სწყვეტდა უკეთესი ტეხნიკა, მეტი განათლება და მეტი დემოკრატიზმი. ომი რუსეთისათვის ისეთი ტვირთი აღმოჩნდა, რომელიც მის ძალონეს აღემატებოდა და სამართლიანად აღნიშნავდენ ბრესტის ზავზე ბალშევიკების იდეოლოგები ლენინი და ტროცკი, „რომ არ შეიძლება სამარცხვინო დავარქვათ ზავს, რომელიც ამთავრებს უსამარცხვინოს ომს“.

პირველი ნაბიჯიდან ლოდიკურად ზამომდინარეობდა მეორე—უარყოფა ყოველგვარი ვალდებულებისა მოკავშირეთადმი*) ცნობილი ს. დ. თეორეტიკოსი კარლ კაუცკი ჯერ კიდევ 1905 წ. სთვლიდა მიუღებელათ რუსეთში ძირითად რეფორმებს ეკონომიურ და პოლიტიკური ხასასათისა, წარმოების მთელს რიგ დარგების ნაციონალიზაცია, მიწების კონფისკაცია და სხვა. ისე ყოველგვარი ვალდებულების ვალების გადახდაზე უარის თქმა. მას შემდეგ, რუსეთის საქმეები თუ უარესდებოდა თორემ არ უმჯობესდებოდა და თუ რუსეთის გლეხები და მუშები მიიღებდენ პასუხისმგებლობას მიწის მთავრობის მიერ დადებულ ვალდებულებაზე, მაშინ ისინი ვერასოდეს თავს ვერ დაახწევდენ უკიდურეს სიღატაკეს და ქრონიკულ შიმშილს.

არსებულ პირობებში ყოველივე მომხდარს უნდა შეეხედოთ როგორც ბუნებრივს, თუ ჩვენ დემოკრატიის ინტერესთა თვალსაზრისზე ვდგევართ. ბალშევიზმის გამარჯვებამ გამოიწვია კონტრრევოლიუციის დარაზმვა რეაქციონური გენერალიტეტის და კადეტების გარშემო. მისი მასაზრდოებელია სიძულვილი არა მარტო ბალშევიზმისადმი, როგორც ასეთის, არამედ რუსეთის დიდი რევოლიუციისადმი საერთოდ და შემცდარია ვინც სხვანაირად უყურებს რუსეთის კონტრ-რევოლიუციას.

გენერალიტეტი და კადეტები გაერთიანა სოციალურმა მოტივმა—ეს არის კავშირი რევოლიუციის მიერ დაზარალებულ რეაქციონურ მიწადმფლობელობის და რეაქციონურ ბიუროკრატიულ „ოპეკის“ ქვეშ სახაზინო „ზაკაზებზე“ მოლონიერებული რეაქციონური კაპიტალის; და ეს მიძრაობა სულ ერთია მოხდებოდა, თუნდაც რუსეთში ეშუმარიტი დემოკრატიული მთავრობა ყოფილიყო, რაკი, უკანასკნელი ძირითად რეფორმებს გაატარებდა. თვითეულს რევოლიუციას თავისი ვანდეა აქვს და ვანდეელები უჩნდება, ყავს ის რუსეთს დენიკინის სახით, გვყავდა ის ჩვენც ჯერ აფხაზეთის გაკოტრებულ მემამულეების და შემდეგ იბრაგიმ ბეკის „შაიკების“ სამმართველოთ დასავლეთ ამიერ-კავკასიის მთავრობის სახით. როგორ უცქეროდენ ევროპა და ამერიკა რუსეთის ამბებს? ამ ქვეყნის დემოკრატიულ წრეებისათვის ერთი რამ იყო ნათელი: რუსეთის მეომარეთა წრიდან გამოსვლა მოხდა მისი

---

*) სხვათა შორის ციმმერვალდის კონფერენციას მიაჩნდა ერთათ ერთ გზათ ომის შედეგების სიმძიმის დარიმთა წრეებიდან მდიდრებზე დაკისრებისა.

Москва. მარ. 25. ბერლინიდან მოსული დეპეშები გვაჩვენებენ, რომ გერმანიის მთავრობაში ლაპარაკია მოსკოვთან კავშირის დაჭერის შესახებ. ღღე და ღამე ისპობა იმედი, რომ გერმანია ხელს მოაწერს საზავო ხელშეკრულებას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მარ. 25. რუსეთში მყოფნი უნგრეთის სამხედრო ტყვეები ყოველ დღე გადადიან კარპატებზე. სამშობლოში ბრუნდებიან და ბალშევიკურ იდეებს ავრცელებენ. **ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ.** მარ. 21. ვიენაში ცნობა მოვიდა, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს შეაწყვიტონ ავსტრია-უნგრეთის ბლოკადა. ნეიტრალურ გემებს ნება აქვთ ადრიატიის ზღვის ნავთ-სადგურებში შევიდენ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მარ. 25. ბერლინიდან მოსული დეპეშები გვაჩვენებენ, რომ გერმანიის მთავრობაში ლაპარაკია მოსკოვთან კავშირის დაჭერის შესახებ. ღღე და ღამე ისპობა იმედი, რომ გერმანია ხელს მოაწერს საზავო ხელშეკრულებას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მარ. 25. რუსეთში მყოფნი უნგრეთის სამხედრო ტყვეები ყოველ დღე გადადიან კარპატებზე. სამშობლოში ბრუნდებიან და ბალშევიკურ იდეებს ავრცელებენ. **ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ.** მარ. 21. ვიენაში ცნობა მოვიდა, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს შეაწყვიტონ ავსტრია-უნგრეთის ბლოკადა. ნეიტრალურ გემებს ნება აქვთ ადრიატიის ზღვის ნავთ-სადგურებში შევიდენ.

---

800 კაცი და ნაკლები გამოგზავნილია 3 დელეგატს, 500 მდე—3 დელეგატს, 1000 მდე 4 დელეგატს. დაწვრილებითი ცნობები დღის წესრიგზე და წარმომადგენლობის შესახებ შეიძლება ფოსტით. მისამართი: თფილისი, კავშირთა საბჭო.

→ განახლებულ მეოთხე რაიონული კოლექტივის სასწრაფო სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს, 27 მარტს, საღამოს 6 საათზე, თავის ბიუროს ბინაზე (ოლდას ქ. № 29). კოლექტივში შედიან: რ. ჩიხლაძე, ივ. გომართელი, ბ. საყვარელიძე, ლ. ბერიტაშვილი, გ. მაჭავარიანი, ივ. მესხი, ივ. ავაქოვი, ანდ. ბებურიშვილი, ელ. მახვილაძე, შ. ვადაჭკორია, ზ. თამაზაშვილი, გ. ფსეინაშვილი, თ. ქარცივაძე, ნ. კოკანაძე და უ. ელიავა. სხდომაზე მოვალენი არიან დაესწრონ როგორც ახალი, ისე ძველი კოლექტივისა და სარევიზიო კომისიის წევრნიც.

→ სალიტერატურო და სამუსიკო ხალამო. შაბათს, 29 მარტს, ფოსტის, კანტორის სათეატრო დარბაზში ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება საღამო. მონაწილეობას მიიღებენ: დ. ონიაშვილი (ლექცია), გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, ხ. ვარდოშვილი, ი. მუეფლიშვილი, ქნარი, ციცხლაძე, მოხეტიალე მუსიკოსი ი. ქურხული, მომღერალთა გუნდი ჩ. ქურთიშვილის ხელმძღვანელობით და სხვანი.

→ ლექცია. დღეს, საღ. 6 საათზე, სახალხო უნივერ. პირველ განყოფილებაში (ნაძალადევი) დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) მარიამ ჩხეიძისა „სამართლის ცოდნა“ და 2) სერ. ჟორეულიანისა: „პოლიტიკური ეკონომია“.

→ ალ. გ. ხაათაშვილის პირველი ქართული სახუმაროლტერო კუპლეტი, განათლების სამინისტროს მიერ ნება დართული, წელს დასრულეს შემდეგმა მოწაფეებმა: მახარაძემ ა. ტ., ბოკერიამ ქ. ლ., ანანიაშვილმა ო. ვ., სურგულაძემ გ. ი., ფეტელავამ გ. თ., კიკალიამ დ. ლ., გამყრელიძემ ნ. ნ., რამიშვილმა ვ. ო., ცხომელიძემ ი. ო., და ფუტკარაძემ ხ. გ. გმოცდას დაესწრნენ, სხვათა შორის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომელთაც საუკეთესო მომზადებულათ სცნეს მოწაფენი.

→ სახელმწიფო თეატრი. თფ. 8 ვაქ. ქართული გიმნ. ლარიბ მოწაფეების სასარგებლოდ, 1 აპრილს, სახელმწიფო თეატრში, სამანიევის, ალეშკოს და სარაჯიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: „რომეო და ჯულიეტა“ და „სოფლის პატიოსნება“.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ.

**** დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს.-დემ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— ხუთშაბათს, 27 მარტს, საღამოს 5 საათზე, შესდგება მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, 27 მარტს, საღამოს 5 ნახ. საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-8 და უნებურათ, ის გაიტაცა იმ ტვირთის ქვეშ, რომელიც მას ომმა აჰკიდა. ასე ფუფურებდა რუსეთს ჩვენს გარეშე მდგომი ნეიტრალური ძალა. ჩვენ კი, რომლებიც საერთო ბრძოლაში მონაწილეობას ვღებულობდით და პირდაპირ დაინტერესებული ვ-ყავით მისი შედეგებით, ვერ შეურიგდით დამარცხებას; ჩვენთვის გაუგებარი იყო ასეთი მოუთმენლობა, საბოლოოდ მოშლა დაჭანცულ მრავალ მილიონიანი გლეხური არმიისა და დამნაშავეებს ვეძებდით სულ სხვაგან, ვინემ ეს საჭირო იყო, ვეძებდით ერთი პოლიტიკური მიმდინარეობის მოქმედებაში, რომელიც ასრულებდა რკინის აუცილებლობით ნაკარნახევ პირობებს.

ამ გარემოებამ დიდი ზიანი მიაყენა დემოკრატიის გამარჯვების საქმეს რუსეთში და მისი ლოზუნგებით კეთდებოდა უფრო კოლჩაკის, დენიკინის, სამონოვის და საერთოდ ძველ გაბატონებულ წრეების საქმე, ვინემ დემოკრატიის.

ევროპის დემოკრატიამ ჩვენ ბრძოლის გარეშე მდგომმა, ვიმეორებ ჩვენზე უკეთ გაიგო ეს ვითარება, რითაც ამოწმებს სხვათა შორის ჩვენი თანამოამაბრე რუსეთის მენშევიკური მიმდინარეობის ბელადი პავლე აქსელროდი, რომელიც გაგზავნილი იყო ევროპაში იქაური დემოკრატიულს წრეებში რუსეთზე სწორი აზრების შესაქმნელად ევროპის დემოკრატიულ წრეებში და მათ ასაზიდრებლად ბალშევიკების ტერორის სისტემის წინააღმდეგ. რუსეთის სოციალისტური პარტიების დელეგაციამ, სადაც შედიოდა პავლე აქსელროდიც, არ შეიძლება ითქვას, რომ დიდს დადებითი შედეგებს მიაღწიოთ, პირიქით მან ევროპის იმპერიალისტურ ჯგუფებს ძლი-

---

ᲒᲐᲚᲣᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕ. ᲔᲕᲠᲝᲞᲐ

(საერთაშორისო პრობლემები).

რუსეთის ეკონომიური ვითარება ქმნიდა ისეთ პირობებს, რომლებიც საკმაო მასალას იძლეოდენ მაქსიმალისტური მიმართულებათა ჩასასახავათ მშრომელი დემოკრატიის ფართე წრეებში. აქ ჩვენ ვხედავთ ერთი მეორეს დიამეტრულათ მოწინააღმდეგე მოვლენებს: ერთი მხრით უკიდურესი სიღატაკე, შიმშილი, და მეორე მხრით გადაჭარბებული ფუფუნება, ნაშთი ბატონ-ყმური წესებისა სოფლის მეურნეობაში და კაპიტალისტური მიწად მფლობელობა და ევროპიული ხასიათის სინდიკატები და ტრუსტები. რუსეთის სინამდვილე არ იცნობს კაპიტალისტური ხასიათის წვრილი მიწად-მფლობელობას და წვრილ მესაკუთრეთა კლასს, ეკონომიურად მოდიფიცირებულს. ეს ამ რევოლიუციის საქმეა და ის კიდეც ხდება მიუხედავათ მოქალაქეობრივი ომებისა.

რევოლიუციამდე ვინც ყოფილა რუსეთის ცენტრებში, ის შეამჩნევდა რუსეთის მუშის ტიპს: ავათმყოფი სახის გამ-მეტყველებით, უფდამ დაღვრემილს, მოკაკულს; ის სრულიად არ წაგავდა პროფ. ვატონერ ზომბარტის მიერ ნაქებ ამერიკელ მუშის ტიპს, რომელსაც თავისი გარეგნობით და მოქცევით უფრო ხშირათ ვერც კი გაარჩევ პრეზიდენტისაგან ან პალატის დეპუტატისაგან*).

მასში ჩაქსოვილი იყო არაკლასობრივი შეეცნებით აღტაცებული სული, არამედ წვრილ ბურჟუაზიული მეშჩანური. მისი იდეალი იყო მომეტებულათ რომელიმე სავა მორიოზოვის ან კრასტოვნიკოვის ქარხნის არა განსახელმწიფოებრივობა, არამედ დატაცება, მისაკუ

---

*) იხ. მისი საინტერესო წერილები „Очерки изъ жизни севѣро-американскаго пролетаріата“.

რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა ახალ ბინაზე სეილანოვის სახლი, სიონის ქუჩა.

გაფიცვის გარშემო

თფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება, გამოტანილი 25 მარტის სხდომაზე: „ვინაიდან ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ნაწილის მიერ გამოცხადებული გაფიცვა—

ა) სრულიად უმიზნოა და მიმართულია დემოკრატიული თვითმართველობის წინააღმდეგ, რომელმაც ჯამაგირებიც მოუმატა მოსამსახურეთ და უკვე მისცა მათ განსაზღვრული დაპირებანი დარჩენილი ჯამაგირების დარიგების შესახებ,

ბ) რომ ეს გაფიცვა უარყოფილია მუშათა ავტორიტეტიულ ორგანიზაციის პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ, როგორც ანტიდემოკრატიული, საბჭო ადგენს:

1. მიეცეთ გაფიცულთ წინადადება შეუდგნენ თავის მოვალეობის აღსრულებას არა უგვიანეს 27 მარტის, დილის 9 საათისა;

2. ვინც ამ დროსათვის არ გამოცხადდება, ჩაითვალოს სამსახურიდან გასულად თავისი სურვილით;

3. საავადმყოფოებში და ბარაკებში მომუშავენი კი თუ ამ ვადაზე არ შეუდგებიან მოვალეობის ასრულებას, მიცემულ იქმნან პასუხის გებაში“.

ქალაქის გამგეობა ამ დადგენილებას აცხადებს მოსამსახურეთა საყურადღებოდ.

---

22 მარტს, შესდგა სახლებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაეწერო ორასი კაცი. კრებამ ერთხმად დაგმო ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის დეზორგანიზაციული მოქმედება და მოუწოდებს ქალაქის მოსამსახურეთ ნუ შექმნიან იმ მდგომარეობას, რომელიც ძმიმე ტვირთად დააწვება ქალაქის დემოკრატიას. კრება საესებით ეთანხმება კავშირთა საბჭოს პოზიციას და მის მიერ მიღებულ ზომებს და აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას.

25 ში შესდგა ამ კავშირის ახალი გამგეობის კრება, რომელმაც ერთხმათ დაგმო ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის უკვე მომხდარი ანარქიული და რეაქციონური გამოსვლა და ნდობას უცხადებს კავშირთა საბჭოს. გამგეობა თან აღუთქვამს საბჭოს ყოველ გვარ დახმარებას და ატყობინებს, რომ თუ ეს საჭირო იქნება, ის მზათ არის ჩამოართვას ოჯახში მოსამსახურეები იმ ექიმებს, ინჟენერებს, ბუხგალტერებს და სახლის პატრონებს, რომლებიც გაფიცულან და რომელთაც შეუყვათ შეცდომაში ქალაქის ზოგიერთი გზა-აბნეული და შეუგნებელი მუშები და მოსამსახურეები.

ოფიციანტთა პროფესიონალურმა კავშირმა მიიღო გაფიცულ ქალაქის მოსამსახურეთა მიერ მიმართვა, რომელშიაც ისინი სთხოვენ კავშირს მხარი დაუჭირონ მათ გამოსვლას და სხვ.

ხსენებულმა კავშირმა უკან დაუბრუნა გაფიცულებს მათი ქალაღლი და თან მისწერა, რომ ისინი, გაფიცულები, ტყუილათ ფიქრობენ, რომ შეცდომაში შეიყვანენ მათ კავშირს და კავშირთა საბჭოს დადგენილების წინააღმდეგ გადაადგმევინებენ ნაბიჯს.

ოფიციანტთა კავშირი მხარს უჭერს საბჭოს და მის დადგენილებას, რომელიც არის აზრი ყველა შეგნებული მუშების, რაც შეეხება გაფიცულთა საქციელს, ის რეაქციონურია და ეწინააღმდეგება დემოკრატიის ინტერესებს. თუ თქვენ ღირსი იქნებით დახმარების, რომელსაც ჩვენ გვთხოვთ, ეუბნება კავშირი გაფიცულებს, ამას ჩვენ გვეტყვის კავშირთა საბჭო და მხოლოდ მაშინ ადმოგიჩენთ როგორც მორალურს, ისე მატერიალურ დახმარებასო.

მზარეულთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ დადგინა თავის უკანასკნელ კრებაზე გამოუცხადოს პროტესტი ქალაქის იმ მოსამსახურეებს, რომელთაც თავიანთი უმსგავსო გამოსვლით უნდათ ჩირქი მოსცხონ დემოკრატიულ, ხალხის მიერ არჩეულ თვითმართველობას და ხელი შეუშალონ ხალხის სიმსახურში. გაფიცულნი არაფერს არ ერიდებიან იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანონ პროფესიონალური კავშირები და მიიმხრონ თავის მხარეზე. მაგრამ გამგეობას იმედი აქვს, რომ მუშები არ წამოეგებიან ამ ანკესზე.

ქალაქის მეგზალთა პროფესიონალური კავშირი გმობს ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის გაფიცვას, რომელიც ვნებს მუშათა ინტერესებს, და მოუწოდებს ქალაქის ყველა მეგზალეებს განაგრძონ მუშაობა და არ აყენენ იმათ, რომლებსაც მიზნათ დაუსახავს ქალაქის თვითმართველობის დანგრევა და დემოკრატიის დამარცხება.

ᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐ ᲜᲐᲠᲓᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲒᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘ

22 მარტი.

მედ. რუხაია. იმ კომისიის სახელით, რომელმაც განიხილა აწხ. მედისოვის მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულობის შესახებ, აცხადებს, რომ კომისიამ ერთმად დაადგინა, რომ ქალაქის თვითმართველობამ, როგორც ისეთ დაწესებულებამ, რომელიც ეხმარება ის დებულებანი, რომ ქალაქის მოსამსახურენი არიან იგივე სახელმწიფოს მოხელეები და აქ ვერ დამტკიცეს ის, რომ სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეებისათვის საჭიროა კოლექტიური ხელშეკრულება. მუშათა კლასისთვის კოლექტიური ხელშეკრულება, კარგი საბრძოლველი იარაღია მწარმოებლებთა მიმართ, მაგრამ განა სახელმწიფო ისე უყურებს თავის მოსამსახურეებს, როგორც ექსპლოატაციის საგანს და ასევე ითქმის მუნიციპალიტეტის შესახებ? რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალაქმა არ უნდა იზრუნოს თავიანთ მოსამსახურეთა ინტერესებისათვის, იქნება საერთო ნორმები შრომის დაცვისა, ჩვენ კონტაქტი გვაქვს მოსამსახურეთა პროფესიონალურ საბჭოებთან. ჩვენ უნდა გვქონდეს სინდისი თვითმართველობის და უნდა იცოდეთ, რომ ის ყოველთვის დაიცავს მოსამსახურეთა ინტერესებს. ქალაქის თვითმართველობები არიან სახელმწიფოებრივი ორგანოები და ფორმა კოლექტიურ ხელშეკრულების მიუღებელია.

ა. პაპავა ემხრობა მომხსენებელს და აღნიშნავს, რომ პრინციპიალურათ არც ერთი სოციალისტი არ შეიძლება იყოს კოლექტიური ხელშეკრულების წინააღმდეგი, მაგრამ სახელმწიფო და თვითმართველობა არ არიან კერძო მწარმოებლები და კოლექტიური ხელშეკრულებაც მიუღებელია მათვის.

მომხსენებლის მცირე პასუხის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქალაქის თვითმართველობები არიან სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები და შედიან სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში და სახელმწიფოებრივ ფუნქციების გარდა ქალაქის თვითმართველობები ეწევიან აგრეთვე წმინდა სამეურნეო საქმეებს, ყრილობა აღნიშნავს, რომ კოლექტიური ხელშეკრულება შეიძლება ხხოლოდ ქალაქის თვითმართველობის წარმომების დაწესებულებაში.

ხ. რობაქიძე აცნობს კრებას, რომ პროვინციის ქალაქები ფრიად ყურადღებით ეპყრობიან მოძრავ უნივერსიტეტს და ჰპირდებიან ყოველ დახმარებას. დღის წესრიგი ამოწურულია. ყრილობა ვიდრე შეუდგებოდეს მთავარ კოლეგიტის წევრების არჩევნებს, აღგენს, რომ კომიტეტში წინანდელებურათ 14 წევრი შედიოდეს, საარევიზიო კომისიაში 5 წევრი, რომლის თავმჯდომარის თანამდებობაც არ ჩაითვლება მუდმივ საშტატოთ, როგორც ეს იყო დღევანდლამდე.

ქალაქთა დებულებაში შეიტანეს დამატება, რომ თუ ერთი სესამედი ქალაქების მოითხოვენ ყრილობის მოწვევას, ასეთი მოთხოვნილება სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი მთავარ კომიტეტის მიერ. აგრეთვე შეტანილ იქნას საარდაქციო ცვლილებანი ქალაქთა დებულების. დასასრულ კრებისა მოხდა მთავარ კომიტეტის და საარევიზიო კომისიის არჩევნები.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

სახელმწიფოს დაბალ მოხამსახურეთა დელეგაცია შრომის მინისტრის ამხანაგთან.

შაბათს, 22 მარტს, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირების დელეგაცია, პროფესიონალურ საბჭოების სეკრეტარიატის წარმომადგენელ ამხ. აბდუშელიშვილის მეთაურობით, წარუდგა შრომის მინისტრის ამხანაგს გ. ერაძეს.

დელეგაციამ გადასცა მინისტრის ამხანაგს კავშირის მოთხოვნილებანი, რომელიც შეეხებოდა ჯამაგირების მონაცემებას 700—750 მანეთამდე. (ღღეს მოსამსახურეთა ჯამაგირები არ აღემატება 250—300 მან. თვეში) დელეგაციამ გააცნო მოსამსახურეთა აუტანელი მატერიალური მდგომარეობა, რომელიც იძულებული ხდებიან გაჰყიდონ ყოველი ფერი, რაც კი აბადიათ, მათი ოჯახობა იძულებულია მოწყალება ითხოვონ. მათ რამდენჯერმე აღძრეს საკითხი ჯამაგირების მომატების შესახებ, მაგრამ მოქალაქეობრივი მოვალეობა არ აძლევდა ნებას მიეშართათ მოთხოვნილებით მთავრობისათვის, როდესაც მას ესაჭიროებოდა შველა და დახმარება რესპუბლიკის ყველა შეგნებულ მოქალაქეებისგან. ამ მიზეზების გამო მათ რამდენჯერმე უკან წაიღეს თავიანთი მოთხოვნილებანი. მაგრამ აუტანელმა სიძვირემ ისინი შიმშილის კარამდე მიიყვანა, და არ იციწყეენ რა თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას, მათ აღარ ძალუძთ განაგრძონ მუშაობა შექმნილ პირობებში, მიმართავენ მთავრობას უმორჩილესი თხოვნით დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი პირველ აპრილამდე და მომატება კი ძალაში უნდა შევიდეს პირველ იანვრიდან.

მინისტრის ამხანაგმა რწმუნება მისცა დელეგაციას, რომ მთავრობა ერთ წუთსაც არ იცდიდა დაბალ მოსამსახურეთა აუტანელ მდგომარეობას; მაგრამ ეძებდა მათ დაკმაყოფილების საშუალებას არა სამუშაო ქირის მომატებით, არამედ—იმაში, რომ მიეწოდებინა მათთვის ხელმისაწვდომ ფასებში პირველი მოთხოვნილების საგნები. ამ მიზნით მთავრობამ გადას დო, 2,000000 მან. სურსათისთვის, მაგრამ დენიკინის ბლოკადამ დროებით შეაჩერა ამ გეგმის განხორციელება, ეს გეგმა ახლო მომავალში განხორციელებულ იქნება და მოსამსახურეთა მდგომარეობა შემსუბუქდება.

მაგრამ ამ გეგმის განხორციელებამდე მინისტრის ამხ. აუცილებელ საჭიროებად სთვლის დაეხმარონ მოსამსახურეთა.

ჯამაგირების გადიდების საჭიროებას მინისტრის ამხანაგი აღიარებს, მაგრამ აუცილებლად სთვლის ცოტათი შემოკლებულ იქნეს მოსამსახურეთა მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი.

ახალ ჯამაგირების შემუშავებას მინისტრის ამხ. შეუდგება 24 მარტიდან მოსამსახურეთა დელეგატებთან ერთად. ჯამაგირების პროექტი მოსსენდება მთავრობას არა უგვიანეს 1 აპრილისა. მაგრამ რადგანაც ამ ჯამაგირების დამტკიცება პირდაპირ დამოკიდებულებაშია ძირითად რეორგანიზაციასთან და შტატების შეცირებასთან,—რომლებიც ეხლა ხდება,—მინისტრის ამხ. ითქრობს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მოსამსახურეთ მიეცეთ ავანსები, ახალი მომატებები და რომ ეს ავანსები, როცა ჯამაგირები დამტკიცდება, ჩათვლილ იქნეს ჯამაგირში.

ლაპარაკი გამოიწვია კავშირის მიერ წაყენებულმა ვადამ. მინისტრის ამხანაგმა არ მისცა ვალდებულება ვადაზე გადახდისა, მაგრამ დაჰპირდა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს მათი მოთხოვნილებანი.

კითხვა იმის შე ახებ, რა დროიდან ჩაითვალოს ჯამაგირები მომატებულად, დარჩა ჯერჯერობით ღია, მაგრამ მინისტრის ამხანაგი დაჰპირდა თავისი დასკვნა მიეცა ამ კითხვის შესახებ.

დელეგაცია წამოვიდა იმ რწმენით, რომ მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი. X.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲕᲐᲮ. ᲗᲝᲕᲫᲔ

ვისაც შავბნელ რეაქციის ხანაში უცხოვრია გურიის მცირე-რიცხოვან, მხნე, თავგანწირულთა პარტიაში, ვისაც კრილოვ-ტოლმაჩევ-ერმოლოვის დიქტატურის დროს უთელია ნარ-ეკლით მოფენილი სახიფათო გზები, მას მოაგონდება ჭალარა, გრძელ წვერა, სახე მოღიმარი თავდადებული მებრძოლი „მოძღვარი“ *), რომელმაც არც შიში იცოდა, არც დაღალა, არც უკან დახევა.

გურიის პირველ მოძრაობის დაწყებისთანავე იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სარევოლიუციო მოძრაობაში, სათავეში ჩაუდგა სხვა ამხანაგებთან ერთად ლიხურის ს. დ. ორგანიზაციას და დაწყებული 1902 წლიდან, მან თავისი პირადი კეთილდღეობა დაივიწყა და ყველაფერი შესწირა პარტიას, ხალხს.

ტახტაჯა, დეკანა, ციხე, ლღიან-ლამიან რბენა, შეუსვენებელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა, აი მისი ხვედრი!

იმ დროს, როცა ხიზნები პარტიიდან გარბოდნენ, როცა თავისუფლათ გავლა შეუძლებელი იყო, როცა ლამეები გადიოდა ჩვენთვის სამოქმედოთ, გურიაში ვლადიმერი ჩვენთან იყო, თავის ვალს იხდიდა, ყოველივე მძიმე მოვალეობას კისრულობდა, სიხალისით ასრულებდა...

ძნელი მოსათხრობია ამ ეამათ იმ პატარა ჯგუფის საქმიანობა, რომელიც გადაიტანა დიდ მოძრაობათ სანზრეთ გურიაში და რომელმაც თავისი წუმუდელი კვალი დასტოვა, მაგრამ მოვა დრო, ისტორია აღნიშნავს ამხანაგების თავგანწირულ ბრძოლას და მომავალი თაობაც ქება-დიდებით მოიხსენიებს მათ.

ღღეს კი საამწუხაროა ასეთი ამხანაგების მოშორება და დიდი დანაკლისი ხალხისათვის, პარტიისათვის. მით უფრო საამწუხაროა, როცა ჩვენ ამხანაგებს წილათ ხვდა ამ თავისუფლების ღღეებში კიდეე მეტი შრომა და ბრძოლა, ჯილდოთ კი უდროოთ სიკვდილი!..

ჩვენს საყვარელ ვლადიმერსაც არ დაუსვენია, არც რეაქციის ხანაში, არც თავისუფლების დროს. მან დაისვენა ეხლა, როცა ცხოვრების უკუღმართობის მსახვრალმა ხელმა არსებობა მოუსპო და წუთისოფელს გამოაცალა...

მშვიდობით!..

რკინის გზაზე

ხაქ. რკინის გზის საავთმყოფოს ცხოვრებიდან.

ამა წლის 6 იანვარს ავათ გავხდი. შვიდი რვა ღღის სახლში წოლის შემდეგ გამომაჩნდა პარატიფიანი ტიფი. ექიმების რჩევით უნდა გადავსულიყავ საავთმყოფოში, რაც ავასრულე. მომათავსეს ცივ დერეფანში, სადაც გავატარე სადამომდე ყბის ცემინებით. სადამოს, როდესაც მოწყალების დამ ჩამოიარა სიცხის გასაზომათ, ვსთხოვე გადმოვეყვანე პალატაში, რადგან სიცივეს ვერ უძლებდი. „შენ კიდევ ღირსი ხარ სასჯელის“-ო და გამშორდა. დავპირე ადგომა, რომ გავცლოდი საავთმყოფოს, მაგრამ ვერ შეუძელი, რადგან სიცხე უდრიდა 40.5. ამ ყოფაში გავატარე დადამებამდე, შემდეგ კი მოიჯერეს მოწყალების დებმა გული და გასცეს ბრძანება, რომ პალატაში შევეყვანე. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ალბათ, მართლაც არ იყო ალაგები, რომ პალატაში მოვეთავსებინეთ. ჩემს შემდეგ იქ მოიყვანეს ორი ავათმყოფი და ორივე პალატაში მოათავსეს მოყვანისთანავე. მეტსაც ვიტყვი. მე რომ განყოფილებაში შემიყვანეს, იქ სამი ალაგი იყო თავისუფალი კიდეე.

ყველა ავათმყოფები, რა მდგომარეობაში არ უნდა იყვნენ ისინი, მოთავსებული არიან ერთად. ბევრ რამეს არ ასრულებენ აქ. მარტო ის არ კმარა, რომ ექიმმა პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა, ამით ვერ უბრუნველჰყოფს ავათმყოფის სიცოცხლეს. მას ხელს უნდა უწყობდეს სხვა საექიმო პერსონალი, მაგ., ფერშლები, მოწყალების დები და ხელზე მოსამსახურეები.

*) ასე ვეძახდით პარტიაში.

ერი კოზირი მისცა ხელში რუსეთის საქმეებში ჩასარევად.

რუსეთის საკითხი ბალშევიზმის გამარჯვებამდე არსებობდა დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში. ეს იყო საკითხი, თუ როგორ უბრუნველ ეყოთ ფრანგ და ინგლისის იმპერიალისტებს, განსაკუთრებით პირველებს, პროკენტების მიღება იმ კაპიტალებიდან, რომელსაც უნაყოდ აწყდიდენ მეფის მთავრობას ფრანგი ფინანსისტები ჯერ კიდევ პირველ რევოლიუციის ჩასაქრობათ და შემდეგ ომის განმავლობაში ინგლისამერიკასთან ერთად.

გარდა ამისა, თანახმად პარიზის ეკონომიურ კონფერენციაზე გამოტანილ დადგენილებებისა, რომელიც ომის დროს შეიკრიბა, ომის შეწყვეტა არ ნიშნავდა ომის დაბოლოებას. თოფ-ზარბაზნები და ჯავშნოსნები ადგილს უთმობდენ ბაზარზე ომს, ეკონომიურობას, რომელსაც შედეგათ უნდა მოყოლოდა გერმანიის გაძევება ყველა ბაზრებიდან და მათ შორის რუსეთიდანაც. საჭირო იყო იქ გერმანიის მაგიერობის გაწევა. ამას ზედ ერთოდა ინგლისისათვის სპარსეთის და კავკასიის საკითხი, ვინაიდან რუსეთის გამოსვლით მეომართა წრიდან დარდანელის სრუტეებ ე უძლიერესი პრეტენდენტი მხოლოდ ინგლისი რჩებოდა. სპარსეთში ის ეჯახებოდა რუსეთის მეტოქეობას. შიშმა გერმანიის გაძლიერებისა აიძულა ინგლისი დაეთმო ბევრი რამ და 1907 წელს ხელშეკრულობით შეკვრიდა რუსეთის მეფის მთავრობას, რომლის წყალობით უმწეო სპარსეთი გაიყო ორი გავლენის სფეროთ, ინგლისის და რუსეთის და თვითეულ თავის სფეროში თავ-თავიანთი ჯარები ჩაყენეს. რუსეთი ომმა მოშალა. მისმა ჯარებმა სპარსეთი თავის ნებით მიატოვა. ინგლისი შეუდგა თავისთვის მითვისებას სპარსეთის მეორე ნაწილისა. და იმ დროს, როდესაც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა შინაურ ფრონტზე ბრძოლით იყო გართული, ინგლისი ნელ ნელა იკავებდა სპარსეთის რუსულ სფეროს, და ბოლოს მოადგა ბაქოს და ბამბით მდიდარ თურქესტანს. ახლა ინგლისისათვის დადგა არა ბაღდადის რკინის გზის საკითხი, რომელიც მისთვის ამ ომის დაწყებამდე დიდს საფრთხობელას შეიცავდა, არამედ საკითხი ამიერ-კავკასიის და შავი ზღვის სანაპიროების დაკავებით და დარდანელის უბრუნველყოფით პირდაპირი და მოკლე გზის გაკაფვისა ინდოეთისა და შუაგულ აზიისაკენ.

ის ამას სისტემატიურათ ანხორციელებს, მის ხელშია საუკეთესო პორტი ბათუმი, ამიერ-კავკასიის მთავარი რკინის გზის მაგისტრალის დასაწყისი, ის თავის გავლენას უმორჩილებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს და ტყუილა ფიქრობენ მოხალისეთა არმიის ბეცი პოლიტიკოსები, რომ ინგლისის გაწვრთნილ დიპლომატებს იმაზე მეტი საფიქრალი არაფერი დარჩენიათ, რომ საჩუქრათ უბოძონ დენიკინელებს ბათუმი და ამიერ-კავკასია.

მეორე მხრით ციმბირი და მისი ოქროს მადნები მადას ულვიძებენ ამერიკის შეერთებულ შტატების და იაპონიის იმპერიალისტებს, რომლებიც ვერ მორიგებულან ჯერ კიდევ მოუკლავ ნადირის ტყავზე. იაპონიას, გარდა ამისა, აქვს პლანები ახალი ტერიტორიალური გაფართოვებისა რუსეთის იმპერიის შორეულ აღმოსავლეთის საფლობელოთა ხარჯზე (ვლადივასტოკი, სახალინი, მანჯურიის ნაწილი, რკინის გზის ლიანდაგი ხარბინიდან და სხვ.).

ასეთია მოკლეთ ფინანსიური და ეკონომიური საფუძვლები მოკავშირეთა ჩარევისა რუსეთის საქმეებში. გზა მიზნის მისაღწევათ ერთია — ტერიტორიების ოკუპაცია და ყველა იმ ძალებით სარგებლობა, რომელნიც ამ ოკუპაციისთვის გამოდგებიან.

ასეთია ღღეს ერთი მხრით დენიკინის ლაშქარი და მეორე მხრით ახლათ აღმოცენებული სახელმწიფოები ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე, რომლებიდან ყველაზე მეტი სიცოცხლის ნიშნები შერჩა ჩვენს რესპუბლიკას, შემდეგ სომხეთს და ადერბეიჯანს.

დენიკინის დახმარება მოკავშირეებს ესაჭიროებოდა არა რუსეთის აღსადგენათ, ეს კითხვა მეორე რიგში იდგა, მათი მიზანი იყო შავი ზღვის ნავთსადგურების ხელში ჩაგდება, აგრეთვე ხელში ჩაგდება ბაქოსი და ყველა იმ ადგილების, თუ ნავთსადგურების, რომელთაც აქვთ საჭირო თუ სტრატეგიული მნიშვნელობა.

პირველ ხანებში მოკავშირეებს ფართე გეგმა ჰქონდათ და მის სისრულეში მოსაყვანათ ჩვეულებრივი ლამაზი ლოზუნგი წამოაყენეს: რუსეთის განთავისუფლება ბალშევიკურ ბრეკვალებისგან. ამ მიზნით ისინი გვერდში ამოუდგენ დენიკინის და კოლჩაკის „ბანდებს“, როგორც სახელმწიფოებრივ მიმდინარეობას ბალშევიკურ ანარქიის წინააღმდეგ. მაგრამ პრაქტიკამ საჭუბარო შედეგები მოგვიტანა.

ყოველგან, სადაც დენიკინის ლაშქარი ჩნდებოდა, მას შეჰქონდა არეულ-დარევა და ბალშევიკური მართვა-გამგეობის მონატრული ხდებოდა ის ხალხები, რომლებმაც იგემეს დენიკინის და კოლჩაკის განმათავისუფლებელი ხმალი.

დენიკინელებთან მოკავშირეების შეთანხმემითი მოქმედებამ მხოლოდ ტეხნიკურ-მატერიალური უპირატესობა მიანიჭა შავი რეაქციის ბალშევიზმზე და წინააღმდეგ გააფართოვა უკანასკნელის გავლენა ფართე დემოკრატიულ წრეებში.

რუსეთის ესერების პარტიამ, რომელიც იარაღით ხელში ბრძოლას აწარმოებდა ბალშევიზმის წინააღმდეგ, იარაღი დაყარა, დანებდა ბალშევიკებს და დახმარება აღუთქვა მის ბრძოლაში შინაურ და გარეშე ბურჟუაზიულ კონტრრევოლიუციასთან.

რუსეთის მენშევიკებმა, რომლებსაც თავიდანვე შეურიგებელი პოზიცია დაიჭირეს ბალშევიზმის მიმართ და პარლამენტარული გზით ბრძოლას ეწეოდენ ბალშევიკების წინააღმდეგ. ამას წინეთ თავისი ცენტრალური კომიტეტის სახელით განაცხადეს თავისი სოლიდარობა ბალშევიზმთან გარეშე ოკუპაციასთან ბრძოლაში და აღუთქვეს დახმარება საბჭოთა რესპუბლიკას თუ უკანასკნელი განაპირა რესპუბლიკებისადმი არ გამოიჩენდა აგრესსიურობას და მათთან შეთანხმების გზას დაადგებოდა.

ეს იყო მეორე შემთხვევა რუსეთის რევოლიუციის დროს, როდესაც დემოკრატიული ფრონტი მთლიანი აღმოჩნდა. პირველი იყო გენერალ კორნილოვის ცნობილი გამოსვლის დროს.

მეორეა ღღეს,—გარეშე ოკუპაციის საკითხში და დენიკინელებთან ბრძოლაში, როგორც პირველს, ისე მეორე მოვლენას ჰქონდა იდეური კავშირი, მათი წარმომშობი ერთი და იგივე სოციალური და ეკონომიური მიზეზი იყო და ორივე შემთხვევაში არაპირდაპირ თუ პირდაპირ მონაწილეობას ღებულობდა გარეშე ძალა.

ევროპის დემოკრატიისათვის ამის შემდეგ ნათელი შეიქნა, რომ რუსეთის საქმეებში ჩარევა იქნება რუსეთის ხალხის სურვილების წინააღმდეგი, და როგორც ასეთი, დაუშვებელია. ამ მხრით დამახასიათებელია დებატები საფრანგეთის პარლამენტში, რომელმაც 15 საათი გასტანა შეუწყვეტლივ, რის მსგავსი არას დროს ყოფილა ოცდაათი წლის განმავლობაში საფრანგეთის პარლამენტის არსებობისა.

ასეთივე შესაძნევი ევოლიუცია მოხდა ინგლისის პოლიტიკურ მიმდინარეობებში რუსეთის კითხვასადმი. უკვე ჩვენ გავიგონეთ ჩერჩილის სიტყვები ლონდონში მიტინგზე: „არ ვფიქრობთ გავაგზავნოთ საგრძნობი ინგლისის ძალები რუსეთში. რუსეთი უნდა იხსნას საკუთარ ძალებმა“ ო. გენ. ბერტელლო 12 მარტის მოხსენებაში მთავრობისადმი, სწერს, რომ „მოხალისეთა არმია შესდგება მუქთა ხორცი აფიცრებისაგან, რომელიც მხოლოდ არბევენ ხალხს და სურთ მასზე გაბატონება და არავითარი ინტერესები რუსეთის და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების არა აქვთ“.

ღღეს მოკავშირენი იძულებულნი არიან სხვა გზას დაადგენ რუსეთის მიმართ. მათი დახმარებით უნდა მოხდეს თითბირი ყველა რუსეთის პოლიტიკური პარტიებისა და მათ შორის ბალშევიკებისაც პრინციპოში, პრინციპის კუნძულებზე.

ინიციატივა აქ ეკუთვნის შეერთებულ შტატებს და ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. უკანასკნელი ყველაზე მეტად დაინტერესებულია, რომ ახალი ომი არ გაჩღდეს ერთი მხრით სოციალურათ გაბორიოტებულ რუსეთის მშრომელ ხალხსა და მოკავშირეთა ჯარებს შორის. გაზეთებში იყო უკვე ცნობა, რომ ფრანგს მემარცხენე ს.-დ. ლონგეს ამერიკელების დახმარებით მიეცა საშუალება მოსკოველ ბალშევიკებს მოლაპარაკებოდა და ამან ერთი აურ ხაური გამოიწვია საფრანგეთის ბურჟუაზიულ მიმართულების პრესაში.

როგორც ვხედავთ, მოკავშირეთა მიზნები შიდა რუსეთში უფრო მცირე დარჩა, ვინემ მისი იარაღიან საშუალებით აღდგენა და დენიკინელებისათვის მართვა-გამგეობის ჩაბარება. ეს მიზანია ახლა შეამავლობა რუსეთის პოლიტიკურ პარტიებს შორის მათი საერთო აზრის გასაგებათ.

დემოკრატიული მიმდინარეობანი მიდიან პრინციპოში წინასწარ გამორკვეული აზრით. გარკვეული აზრი აქვთ ბურჟუაზიულ პარტიებსაც. შერიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ იმასაც დიდი ნნიშვნელობა იქნება, რომ ევროპის დემოკრატიის წინაშე გატანჯული რუსეთის დემოკრატიული მიმდინარეობათა წარმომადგენლები საერთო აზრით გამოვლენ. უნიშვნელო უთანხმოებანი ადვილად დასაძლევი გახდება ევროპის დემოკრატიის მიუდგომელ სამსჯავროს წინაშე.

შესაძლებელია ცენზიანმა ელემენტებმა აქაც ნაკად ხერხს მიმართონ—საბოტაჟს, და ამით სცადონ პრინციპის თათბირის ჩაშლა. მაგრამ ამითაც ისინი თუ არგებენ დემოკრატიის საქმეს, თორემ არ ავნებენ, ვინაიდან ევროპის მშრომელი კლასები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, რომ ცენზიან ელემენტებს ასულდგმულებს არა თუ რუსეთის აღდგენის ბედი, არამედ სოციალური და პოლიტიკური ბატონობის დამორჩილება.

მაგრამ თუ თათბირი ჩაიშალა თვით რუსეთის დემოკრატიის მიზეზით, მისი მიმდინარეობათა შეურიგებლობის გამო, ეს გარემოება უფრო გააბნგრძლივებს რუსეთის კრიზისს და მაშინ ერთადერთი გამოსავალი დარჩება ისევ საერთაშორისო მასშტაბში, რომელიც ბოლოს მოუღებს, როგორც ბალშევიკების უნიადაგო მოქმედებას, ისე დენიკინის რეაქციონური ლაშქრის თარეშს. შემოქმედი ძალები ევროპის დემოკრატიისა, გამოწვეული პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობით, სულს დაუბრუნებდნენ რუსეთის მოშლილ ეკონომიურ ორგანიზმს და თავის ქვეყნებში მწყობრი ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნით ახალ ნიადაგზე ისინი ბევრ რამეს დაასწავლიდნენ, რუსეთის ყველა მიმდინარეობას, რომელთაც ჯერჯერობით ვერ შექმნეს ვერც დამაკმაყოფილებელი ეკონომიური ორგანიზაცია და ვერც შესაფერისი ფორმები საბჭოებისა.

ეს გაგვიადვილებდა ჩვენც, ახლად აღმოცენებულ რესპუბლიკებს, საერთო სალაპარაკო ენა მოგვეძებნა რუსეთის დემოკრატიასთან, მათთან საერთო დემოკრატიულ საქმის საკეთებლათ...

სხვა გზები არ დაგვრჩენია.

Tertium non datur.

მ. ცეკავშვილი.

18 თებერვალი.
დედაქალაქი.

ვფიქრობ, რომ მიწყალების ფულის ნაწილ-და ეროვნულობას უნდა შეადგენდეს ავთმყოფს ხელოვნურად ამაღლება, წამლების თავთავის დროზე დანიშნულ დროებში კანში წასალის შესაბამებულ დროებში კანში წასალის შესაბამებულ ნაბა, სველი ტილოები დაბელა და სხვა-დასხვა, მგონია არც ერთი პირნათლად სისრულეში არ მოდის. ექიმი უშვრს ავთმყოფებს წამალს და წასალი მანამდე სდგას მაგიდაზე, სანამ ფოთიანი შუშებს არ ამოიხოვს. მაშინ კი ალბენ წამლიან შუშებს, წასალს ღვრიან და ცარიელ შუშებს აგზავნიან. მოსამსახურეს რომ შეეკითხეთ: რატომ ავთმყოფებს წამალს არ ალეფინებ, ხომ ხედავთ, ესენი უარმყოფელნი და ოფიციერ წამალს ვერ მიიღებენ-თქო. მიპასუხა „ბა, მე რა ვიცი წამლების, როდის და რაზდენი დაალეფინო. მე ვიცი ავთმყოფის მოვლა, პალატის დგომა, მისი სუფთად შენახვა და სხვ. ეს კი მოწყალების დების საქმეა და ეს-ეი თითონ თქვენ ხედავთ, თუ რამდენად ასრულებენ ავთმყოფთა პალატები, რადგან მეტი პრივილეგიით უნდა სარგებლობდეს. და თუ კი მეტი პრივილეგია ავთმყოფების პალატებს არ ექნება, მაშინ მე ეფიქრობ, რომ თანაბრად გაათბონ ორივე, განურჩევლად ავთმყოფთა პალატა იქნება ის, თუ მოწყალების დების და მოსამსახურეების სადგომები. ჯარგი იქნებოდა, რომ ყურადღებას მიაქცევდეს, ვინც ჯერ წრს და შეატანდეს თვითშეგნების ქალთა ბერსონალში, რადგან ფმოვლელობას ვერ შეეგნოს, თუ რა დიდი მოვალეობა აწევთ მათ. ამ დროს ცოდათ ყოფნა და მოვალეობის პირნათლად აასრულებლობა დიდ ბოროტებად უნდა ჩაეთვალოთ მათ და ლირსეულად უნდა დაიჯონ. მაგარი კონტროლი ყველა მოსამსახურეების მიმქმედებას,

რა იხსნის ავთმყოფებს მოუვლელობით სიკვდილისგან. მან შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა მსვერპლი გაცილებით ნაკლები იქნება, ვინემ დღეს არის ზემოხსენებულ საავთმყოფოში.

ალ. ჩხაკვაძე.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი, 20 მარტს ს. შაბლაძის თავმჯდომარეობით შედგა მესამე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა. ლესურენ როგორც კოლექტივის წევრები, ისე საორგანიზაციო კომისიის წევრები. განსახილველად იყო: 1) მოხსენება კომიტეტიდან, 2) მოხსენება საორგანიზაციო კომისიისა, 3) კოლექტივის რეორგანიზაცია, 4) საზოგადო კრების მოწვევა და სხვა მოხსენებები. თავდ. კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ე. ლორთქიფ. 2) კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა გ. მესხიშვილმა, რის შემდეგ გაიმართა ცხარე თვალი. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საორგანიზაციო კომისიას ჯერ-ჯერობით ქვეკოლექტივის დაარსება, სხოლოდ საჭიროდ სცნობს „ოჩეკების“ შექმნა. კოლექტივი ურჩს ჰაფაკსიორგანიზაციო კომისიას ეგრეთ შეხედულებას და ხსნის მას. 3 კითხვის შესახებ კოლექტივმა დადგინა: რეორგანიზაცია არ მოხდეს მანამ, სანამ თფილისის კომიტეტი არ გამოიტანს თავის შეხედულებას მოსმენილ სხდომაზე. 4 კითხვის შესახებ დადგინდა, რომ საზოგადო კრება მოწვეულ იქნეს მომავალ პარასკევს, ნაშუადღევს 4 საათზე.

მდივანი კ. გოგოლიშვილი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

საკრებულო საპენსიტაცოს სტატია

ამ სტატიაში ამოიფეფენთ შეუბრალ ჯარისკაცები და ნებით დაჭრილებულნი. ჩვენ, ჯარისკაცები, ვიყოფებით ამ სტატიის ბოლოს ჩამოძის ბალკონიდ. ... 8 საათს, როგორც ჩვენთ დაჭრილებულ მუშები, დიდ გაჭირვებას განიცდიან, რადგან ... ისეთ სასტუმროებს, რომელიც ... ჯარისკაცებ ... ყოველგვარ ჯარისკაცის კეთილდღეობ, როგორც ... 10 მარტს ... ბის შეუბრალ ... ბოლოვანი ... ბალკონ ... 4 საათზე.

მდივანი კ. გოგოლიშვილი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

საკრებულო საპენსიტაცოს სტატია

ამ სტატიაში ... ჯარისკაცები ... ნ. ... ჯარისკაცები ... ...